



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №2

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 26 თებერვალი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დემეტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;

ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი - ჯუმბერ კობალაძე;

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;

ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ დირექტორი - თეონა ბერიძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის 42-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საზაფხულო თეატრის ანუ კულტურის ცენტრის რემონტს, ფრაქცია „ბათუმმა“ დიდი ხნის წინ დააყენა საკითხი და მისასალმებელია, რომ იწყება ამაზე მსჯელობა, თუმცა დასაზუსტებელია, რადგან ის იყო საზაფხულო თეატრი, რემონტი უკეთდება კულტურის ცენტრს, აქედან გამომდინარე ვის უკეთდება რემონტი, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საკითხის განხილვის დროს გაიმართოს მსჯელობა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარბიძე)

საკითხი 2. ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარბიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგასალის ქუჩა N124-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების
და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების
და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“-ს (ამჟამინდელი მესაკუთრე - შ.პ.ს „გრანდ მაისონი“) შორის 2019 წლის 29 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ორბი ლუქს პალასი“-ს შორის 2016 წლის 25 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

საკითხი 8. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - ჟურნალისტის თავდასხმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველასათვის მიუღებელია, ვინაიდან ადამიანი, რომელიც ოჯახთან ერთად მოძრაობს, რა შურიც არ უნდა აინტერესებდეს ყოვლადმიუღებელია, ვანდალური აქტია. მან მოუწოდა ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს დადგინონ რა მიზნით დაესხნენ თავს. გარდა ამისა აქვს საკითხები, კერძოდ:

1. ქვეყანაში მოიხსნა რეგულაციები და ამოქმედდება სხვადასხვა სფერო, კარგია, თუმცა კულტურის, ხელოვნების სფერო სრული მასშტაბით, ამოქმედდება თეატრალური სამყარო, გარდა ამისა საკონცერტო კოლექტივები და.ა.შ აბსოლუტურად მიუღებელია და შეუსაბამო ჩვეულ განზომილებაში მოექცეს ამ ღონისძიებების დრო, მიუღებელია 21 საათიდან შეზღუდვები.

2. მოსახლეობას აწუხებს, რომ საბავშვო ბაღების ამუშავებასთან დაკავშირებით არასწორი კანონია მიღებული თავის დროზე (5 დღისათვის ბავშვმა უნდა ელოდოს ერთი წელი) ამ ვაკუმს ავსებდა საბავშვო ბაღები, სადაც იქ ნულოვანი კლასი იყო შემოღებული. აქედან გამომდინარე, გაგრძელდება თუ არა ასეთი სისტემა.

3. ქვაფენილები, რომელიც არა მარტო გადაადგილების შეზღუდვას წარმოადგენს, არამედ ეს საშიშროებაც არის. ლერმონტოვის ქუჩაზე წყლის მილის დაზიანების შემთხვევაში მანქანები დაზიანდა ქვაფენილების შედეგად. მას აქვს შემოტანილი ინიციატივები განსახილველად.

4. ცენტრალურ პარკში სკამები, ნაგვის ურნები უყურადღებობით არის დამტვრეული, მოშლილი და მწყობრიდან გამოსული.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და აღნიშნა ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მხრიდან ბოლო პერიოდში გაცხადებული იყო, რომ თებერვლის ბოლომდე შემოვიდოდა და დაიწყებოდა მოსახლეობის ვაქცინაცია, თუმცა დღეს გაურკვეველია როდის იქნება, ამიტომ ქვეყანას ჰყავს ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც მოუწოდებს, რომ ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობა. სტბილურად ცხოვრებისთვის აუცილებელია მოქალაქეების ვაქცინაცია. ასევე სამშენებლო საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 20-მდე კორპუსი წინა წლებშია აშენებულია, სადაც ხალხი შესახლებულია, მაგრამ გაზი, დენი, რომ თავისი ჰქონდეთ ამას ვერ ახერხებენ და ახლობლებთან აქვთ მიერთებული. ბოლო პერიოდში ქალაქში მთავრობის, მერიის მიერ მოწესრიგდა არაერთი საკითხი, პრაქტიკულად დარღვევები აღარ ხდება. ასევე დარღვევებთან დაკავშირებით აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება.

საკრებულოს წევრი - ნატალია ზოიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ყველა ძალადობას ემიჯნებიან, მათ შორის ჟურნალისტზე თუ პოლიტიკოსზე განხორციელებული იქნება, სახელმწიფოს არაერთი ინიციატივა აქვს ამასთან დაკავშირებით კანონი შემუშავებული, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ძალადობის ფაქტები, თუმცა როგორც ჩანს მეტი მუშაობაა საჭირო ცნობიერების ასამაღლებლად და ბუნებრივია მუნიციპალიტეტს ეკისრება ხალხთან უფრო მეტი მუშაობა. ასევე როგორც ბათუმელმა არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ქალაქს, ოჯახს და საზოგადოებას გამოაკლდა

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ქეთევან მუხაშარია. ამ რანგის განვითარებაში მისი ღვაწლი უდიდესია. მას ხვალ კრძალავენ დიდუბის პანთეონში, მიუსამძიმრა საკრებულოს სახელით ოჯახს.

საკრებულოს წევრი - დიმიტრი ჭეიშვილი მიესალმა და აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 100 წლისთავია, დამფუძნებლებმა დიდი ღვაწლი ჩადეს, მსხვერპლი გაიღეს ამ ყველაფრისთვის, მან ისურვა მათი იდეები იქნეს აღსრულებული, გატარებული თანამედროვე საქართველოში და მან მოუწოდა ყველას ბრძოლისათვის, რომ საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი. ასევე მნიშვნელოვანია რომ ამ ყველაფერს მოყვა საბჭოთა ოკუპაცია, დიდი მსხვერპლი და ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ იუნკერებმა შესწირეს სამშობლოს თავი და მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. ისინი მუდმივად იქნებიან გმირები მათთვის და მათი შვილებისთვის.

ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლებს მიაგეს პატივი და საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით გამოხატეს. ასევე მან აღნიშნა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი გახდა ბევრად უფრო სწრაფი და მარტივი. კარგია, მაგრამ ამას მოყვა თამდევით პრობლემები გორგასლისა და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე, სადაც მუდმივი საცობია, როგორც ახსოვს პირველად დოკუმენტში ეწერა, რომ ორ ზოლში მოძრაობა და ცალ მხარეს პარკინგი, ან თუ არ იყო, რამდენად შესაძლებელია საცობების პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს წევრი - გოჩა მგელაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მერს, მერიას და განსაკუთრებით მუნიციპალურ ინსპექციას გარე ვაჭრობის მოწესრიგების გამო, ბონის დასახლებაში ლიანდაგებთან, ცენტრალურ ბაზართან აუტანელი სიტუაცია იყო, რომელიც დღეს მოწესრიგებულია და კმაყოფილი არიან.

საკრებულოს წევრი - ბესარიონ გოგოტიშვილი მიესალმა და აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია როგორც პოლიტიკოსზე, ისე ჟურნალისტზე ძალადობა, გენდერული საბჭოს ხელმძღვანელი არის ნატალია ზოიძე, რომელიც უშუალოდ ღონისძიებებს ატარებს ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ასევე გენდერულ საბჭოში, რომელიც ამ ღონისძიებებს ატარებს ფრაქციის წევრები არიან ჩართული და ამისთვის მადლობა გადაუხადა. რაც შეეხება ბათუმის მერს, რომელიც საკრებულოს ყველა სხდომას ესწრება მადლობა უთხრა, რადგანაც უშუალოდ მერი პირადად იწერს იმ საკითხებს, რაც მათ მიაჩნიათ პრიორიტეტად ქალაქისთვის.

საკრებულოს წევრი - დავით მახარაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ქალაქში ნალექის სახით მოვიდა თოვლი და მან მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურებს 24 საათიან რეჟიმში ჩართულები იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ მოსახლეობის დისკომფორტის შემსუბუქებისთვის. ასევე სამორინეები და სასტუმროებზე იჯარით გაცემულია რამდენიმე ლოკაცია პარკირებისთვის. მათ ითვისებენ გაცემულ ხელშეკრულებაზე უფრო მეტ ფართს.

საკრებულოს წევრი - თამაზ დევაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ლეონიძისა და ტაბიძის ქუჩების კვეთაში სისტემატიური სახე მიიღო საცობმა, რადგან არ არის შუქნიშანი. ასევე გასაკეთებელია მთავარი გზის განმსაზღვრელი ნიშანი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა, მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა მიესალმა და აღნიშნა, რომ ის შეეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რაც ბოლო პერიოდში აქტუალურია. დაეთანხმა საკრებულოს წევრებს ყოველგვარი ძალადობის მიუღებლობის თაობაზე, მადლობა გადაუხადა შსს სწრაფი რეაგირებისათვის, იმ კონკრეტულ დანაშაულზე და დანაშაულ პირთა გამოვლენისათვის, იმედს იტოვებს, რომ ბოლომდე იქნება გამოძიებული. რაც შეეხება იმ თარიღებს, რაც ქვეყნისათვის უმძიმესი თარიღია და 100 წელია გასული, რაც ოკუპაციის ფაქტი დადასტურდა და წითელმა არმიამ მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია. სამწუხაროდ, 100 წლის შემდგომაც იგივე გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოება, შვილები, რომლებიც ერთად ებრძვიან კვლავ ოკუპაციას. ერთობლივი ძალისხმევით ქართველი ერი დაძლიებს ოკუპაციას და დაიბრუნებენ დაკარგულ ტერიტორიებს. რაც შეეხება შეკითხვებს აღნიშნა, რომ მას არა მარტო საკრებულოს სხდომებზე აქვს კომუნიკაცია, ყველა მოწოდებული საკითხი ინფრასტრუქტურა იქნება თუ სხვა საჭირობო საკითხები განიხილავენ. მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს აქტიურობისათვის, რადგან ბევრი საკითხის განხილვა მოხდა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მადლობა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რადგან კრიტიკულები არიან და ხშირად სამართლიანი. ინფრასტრუქტურული საკითხები შესწავლილი იქნა და შედეგები იქნება ამინდის გამოსწორებასთან ერთად. ფინანსური რესურსიდან გამომდინარე საჭიროა მომდევნო წლებში გონივრულად დაიგეგმოს სამუშაოები. გორგასალისა და აღმაშენებლის ქუჩების ერთ და ორზოლინ მონაკვეთებს რაც შეეხება უმეტესი არის ორზოლიანი, მაგრამ არის მონაკვეთები, სადაც საპარკინგე სივრცეების გამოყენების გამო არის ერთზოლიანი, ორივე ქუჩის სრულ პერიმეტრზე მიღებული იქნა სატრანსპორტო სამსახურთან ერთად გადაწყვეტილება, განთავსებული იქნას ავტობუსის გაჩერებები. მიკროსამარშრუტო ავტობუსებს, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტს ექნება საშუალება არ შეფერხდეს მთავარ სავალ ნაწილზე მოძრაობა. თუმცადა სასკოლო პერიოდის საათებში მოქალაქეების ტრანსპორტის კონცენტრაციის დროს მაინც შეინიშნება გარკვეული ტიპის საცობები. შუქნიშნების ორგანიზებასთან დაკავშირებით ჭკვიან სისტემებზე მუშაობენ პარტნიორებთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე, გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და ნაშთი; წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მცირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები -5,007.1 ათასი ლარით. მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 5 000,0 ათასი ლარით, მცირდება გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 23 დეკემბრის №04-03/160385 წერილი); - დამატებული ღირებულების გადასახადები - 7.1 ათასი ლარით, მცირდება გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 23 დეკემბრის №04-03/160385 წერილი). წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 6,992.9 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით ბარათს თან ერთვის დანართის სახით. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, მათი განხორციელება მიმდინარეობდა, ბიუჯეტის დამტკიცებისას ფრაქცია „ბათუმმა“ მხარი დაუჭირა, დღეს პანდემიის პერიოდში მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მხარს დაუჭერენ, თუმცა მათ ჰქონდათ წინადადებები, კერძოდ, მძლეოსნობის მანქთან დაკავშირებით, რომელიც მომავალი ცვლილების დროს მოხდეს გათვალისწინება, პირველ რიგში მოხდეს სათანადო ადგილის გამონახვა და ფედერაციასთან ერთად პროექტის შემუშავება. ასევე რაც შეეხება საზაფხულო თეატრს, მოსაწესრიგებელია გარე ფასადი, რომელიც ღირშესანიშნავი ადგილია.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ პარკში ხანგრძლივი წვიმის შედეგად დაზიანდა სკამები, შესაკეთებელია და გადასაღებია. საზაფხულო თეატრთან დაკავშირებით აინტერესებს, რომ ეს შენობა არის საზაფხულო თეატრი, რომელიც ამ სტატუსით ჩამოყალიბდა, აშენდა და მიიღეს ეს ფორმა, თუმცა სადაოა არის თუ არა საზაფხულო თეატრი და მეორე-თუკი კულტურის ცენტრი საზაფხულო თეატრში არის განთავსებული, მაინც სტატუსით უნდა იყოს საზაფხულო თეატრი. საზაფხუ-

ლო თეატრი თუ კულტურის ცენტრის მმართველობაშია და მის დაქვემდებარებაში, მაშინ საზაფხულო თეატრის სტატუსი უნდა მოშორდეს და დაერქვას კულტურის ცენტრი, რომელიც არ შეიძლება და მიუღებელია. საბოლოოდ მას აინტერესებს, რომ კულტურის ცენტრი საზაფხულო თეატრის დაქვემდებარებაშია თუ პირიქით როგორც აღნიშნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურის ცენტრი ახორციელებს მართვას, მოვლა-პატრონობას, ბიუჯეტის ცვლილებით გათვალისწინებულია საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N42-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ნესტორ ხვინგიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნება თბილისში ვეღარ მოესწრო. საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 24 თებერვალს ღამე დედაქალაქი დატოვა. ისინი ჯერ ქუთაისში გადავიდნენ, ხოლო 10 მარტს კი ბათუმში, სადაც 17 მარტამდე დარჩნენ, შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდნენ. სწორედ ამ პერიოდში ბათუმში უნდა გამოქვეყნებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამისთვის შეარჩიეს ცნობილი ბათუმელი პოლიგრაფისტის, ნესტორ ხვინგიას სტამბა.

ხონის რაიონ, სოფელ კუხში დაბადებული ნესტორ ხვინგია ცნობილი პიროვნება გახლდათ. მას დიდი პატივის სცემდნენ ბათუმში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ ივანე ანდრონიკაშვილი, გიორგი ვოლსკი, ივანე მესხი და სხვები. მისსავე სტამბაში

იბეჭდებოდა ქართული და რუსული წიგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ ხვინგიას სტამბაში დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წესდება და პროგრამა. სწორედ ნესტორ ხვინგია იყო ის პიროვნება, რომელმაც თავის სტამბაში დაბეჭდა „მოწოდება ქართველებისადმი“, რომელიც მიემდგვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ბათუმის ოლქის გადაცემას ინგლისელთა მიერ 1920 წლის 7 ივლისს. რაც შეეხება კონსტიტუციას, ის დაიბეჭდა ცალკე წიგნად სათაურით „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს“. მისი ზომაა 19X13, მოცულობა — 40 გვერდი (ტირაჟი უცნობია). ეს გამოცემა არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რომლის ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარი დაცულია თბილისში, საქართველოს წიგნის პალატაში. ნესტორ ხვინგიას უშუალო ხელმძღვანელობით დაიბეჭდა კონსტიტუცია, ის იყო კორექტორიც და შემსრულებელიც, რითაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და საშვილიშვილოდ უკვდავყო საკუთარი სახელი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი თარიღია, 100 წელი გასულა იმ ავბედითი დღიდან და ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, მიესალმება მათ შთამომავლებს, ულოცავს და მადლობას საკრებულოს სახელით უხდის, ასევე ცნობის სახით აღნიშნა, რომ მომხსენებლის ინიციატივით ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას კონსტიტუციის ქუჩა ეწოდება და უახლოეს სხდომაზე განიხილება დასამტკიცებლად.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს კარგი საქმისათვის, ასევე განსაკუთრებული მადლობა მის მეგობარს ოთარ გოგოლიშვილს და ნესტორ ხვინგიას ახლობელს, რომელიც საკრებულოს სხდომაზე იმყოფება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ბათუმელებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, მადლობა გადაუხადა ინიციატორებს. მომავალში შესაძლებელია პატარა ბიუსტის დადგმაზეც ვიფიქროთ.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მთავარი არის ის, რომ ნესტორ ხვინგიას დამსახურებით აღინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 100 წლისთავი. რომ არა მისი დაბეჭდვა და გასაჯაროება ლეგიტიმაცია იმ ხელნაწერს არ ექნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17
არ ესწრებოდა: 1(ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგასალის ქუჩა N124-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 17 თებერვლის №449/02 (№07-1421048195-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 5 თებერვლის N1/1-275 ბრძანების თანახმად, ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N124-ში მდებარე 929 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს.კ. 05.23.19.003) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

აღნიშნულ უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.23.19.003) განთავსებულია და ფუნქციონირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (776 კვ.მ ფართი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (პირველი სართულის ნაწილი-206,3 კვ.მ ფართი), რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული აქვთ მათ სარგებლობაში გადაცემული ფართები. ზემოხსენებული უძრავი ქონების შემდგომი მოვლა-პატრონობისა და კაპიტალური ხარჯების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N 124-ში მდებარე 929 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (ს.კ. 05.23.19.003) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13

არ ესწრებოდა -5 (ი. პატარიძე, რ. თავართქილაძე, ე. ანდრიაძე, ი. თოფურიძე, ნ. ზომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 4. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესი“-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები. პროექტი გავლენას იქონიებს ქონების გადასახადის გადამხდელებზე. ასევე, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოებზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა -4 (ი. პატარიძე, რ. თავართქილაძე, ი. თოფურიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“-ს (ამჟამინდელი მესაკუთრე - შ.პ.ს „გრანდ მაისონი“) შორის 2019 წლის 29 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და შ.პ.ს „ბონდი-2009“-ს შორის 2019 წლის 29 მაისს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საკუთრების გადაეცა) მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე) ჟიული შარტავას ქუჩაზე მიწის ნაკვეთები (პირობებით).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“-ს (2020 წლის 27 თებერვალს შ.პ.ს „გრანდ მაისონ“-სა და შ.პ.ს „ბონდი-2009“-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით, ზემოაღნიშნული ვალდებულებები დაეკისრა შ.პ.ს „გრანდ მაისონ“-ს) 2019 წლის 29 მაისს დადებულ ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე (ჟიული შარტავას გამზირი) მდებარე 2009 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.27.05.039), ქალაქ ბათუმში ჟიული შარტავას გამზირი №18-ში მდებარე 2313 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.27.05.037) და ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე (ჟიული შარტავას გამზირი) მდებარე 4337 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.27.05.030), რომლებიც შემდგომ გაერთიანებით ჩამოყალიბდა ერთ საკადასტრო ერთეულად 05.27.05.046 (საერთო ჯამში მიწის ნაკვეთი 8652 კვ.მ.)

შ.პ.ს „გრანდ მაისონ“-მა მოგვმართა 2021 წლის 11 თებერვლის №10/1421042407-14 წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარების გამო ვერ ახორციელებს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მშენებლობის დასრულებას, შესაბამისად ითხოვა მშენებლობის დასრულების ახალი ვადების განსაზღვრა.

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების გათვალისწინებით და ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების და ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის

შესრულებისათვის შპს „გრანდ მაისონ“-ს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის დასრულების ვადად განესაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულის მშენებლობის დასრულება გაიზარდოს 36 თვით - ანუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 თვის ვადაში.
 - ბ) შენობა-ნაგებობის ძირითადი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციების მშენებლობის დასრულება გაიზარდოს 36 თვით - ანუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 78 თვის ვადაში.
 - გ) შენობა-ნაგებობის მშენებლობის სრულად დასრულება (ექსპლუატაციაში შეყვანა) გაიზარდოს 36 თვით - ანუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 96 თვის ვადაში.
- აღნიშნულის უფლებამოსილება მერს გააჩნია საკრებულოს თანხმობით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ არაერთმა კომპანიამ მომართვა გააკეთა და საკრებულოს დადებითად გადაუწყვეტია. საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ იყოს და მისთვისაც საინტერესოა რა ვადაში უნდა დასრულებულიყო პროექტი და რა ვადით გრძელდება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მოქმედების ვადები არსებობს, პირველი ეტაპის მშენებლობის ამოსვლის ვადა, მერე შენობის დასრულების ეტაპი და შემდეგ მშენებლობის სრული კომპლექსი. ვადებს შორის იყო 2-2 წელი. შესაბამისად ამ წლებში ვერ ეტევა და ვაგრძელებთ იგივე წლებით. მშენებლობის ვადა განისაზღვრება 36 თვის ნაცვლად 60 თვით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. თოფურიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მთავარი:

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ორბი ლუქს პალასი“-ს შორის 2016 წლის 25 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და შპს „ორბი ლუქს პალასი“ -ს (სახელის შეცვლამდე შპს „ჯეო დეველოპმენტი“) შორის 2016 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ორბი ლუქს პალასი“ -ს საკუთრებაში გადაეცა: ა) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №127-ში მდებარე 5411,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.26.02.118); ბ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №127-ში მდებარე 4956,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.26.02.117). სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განისაზღვრა ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩის სკვერში არსებული საბავშვო-გასართობი ატრაქციონების (მოედნის) სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება, ასევე თამარ მეფის გამზირის №5, №7 და №9 საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული ღია სპორტული მოედნის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება და შესრულებული სამუშაოების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული ვალდებულებები კომპანიას შესრულებული აქვს.

სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ასევე განისაზღვრა მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა. მშენებლობის დაწყების ვადა, იმის გამო, რომ ვერ ხდებოდა მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის სამშენებლო ობიექტის პროექტის შეთანხმება, გადაიწია რამოდენიმეჯერ და საბოლოოდ როდესაც განხორციელდა მრავალფუნქციური ობიექტის პროექტის შეთანხმება მშენებლობის დაწყების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 15 ივნისი, ხოლო დასრულების ვადად 2021 წლის 15 იანვარი. შპს „ორბი ლუქს პალასი“ -ს მიერ მშენებლობა დაწყებული იქნა, თუმცა ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო შეჩერდა.

შპს „ორბი ლუქს პალასი“-მ მოგვმართა 2021 წლის 03 თებერვლის №01/405 წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარების გამო ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების განახლება, შესაბამისად ითხოვა მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბერი.

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების გათვალისწინებით და ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პრივატიზებული ან/და

სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების და ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის შპს „ორბი ლუქს პალასი“-ს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის დასრულების ვადად განესაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბერი. აღნიშნულის უფლებამოსილება მერს გააჩნია საკრებულოს თანხმობით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმდების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. თოფურიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის შემუშავების ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები. ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება და პროცედურის დახვეწა, კერძოდ: პროექტით რეგულირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე გამოცემული დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ახალი წესი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია არსებული პრაქტიკით, რომელიც ცხადყოფს, რომ ვიდეოფირზე ან ფოტოფირზე დაფიქსირებული ჯარიმების აღსრულების მექანიზმი არ არის ეფექტიანი. კერძოდ, პრობლემურია პირისათვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარების პროცედურა. დღეის მდგომარეობით, ფოსტის კურიერი ვალდებულია პირის რეგისტრაციის მისამართზე მიიტანოს

გზავნილი და ჩაუბარებლობის შემთხვევაში შესაბამისი წერილობითი უკუგზავნილი შეადგინოს. არსებობს რიგი მიზეზები რა შემთხვევაშიც სამართალდამრღვევს ვერ ბარდება საჯარიმო ქვითარი: ერთის მხრივ, როდესაც პირის რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი მისამართი სხვადასხვაა. ფოსტის მიერ რეგისტრაციის მისამართზე გაგზავნის შემდეგ აღარ არსებობს კონკრეტული ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს პირისათვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას. მეორეს მხრივ კი, სამართალდამრღვევი მიმართავს სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რომ ხანდა-ზმულობის ვადის გასვლამდე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით 6 თვეა, თავი აარიდოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას. არსებული მონაცემებით კალენდარული წლის განმავლობაში გამოწერილი ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გამოცემული ჯარიმების რაოდენობის მხოლოდ ნაწილის აღსრულება ხდება. შესაბამისად, აღნიშნული ცხადყოფს, რომ აღსრულების ზემოთ დასახელებული მექანიზმი არაეფექტიანია. ზემოხსენებული პრობლემის გადასაჭრელად და საჯარიმო ქვითრის ჩაბარების წესის დახვეწის მიზნით შემოღებულ იქნა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმების აღსრულების წესის ქმედით რეგულირებას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მიესალმება, რადგან ამოღება უმარტივდება მუნიციპალიტეტს და რეალურად კანონმდარღვევები და-ისჯებიან და გადაიხდიან შესაბამის საზღაურს, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვიდეოფირზე ან/და ფოტო-ფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებს მუნიცი-პალურ ინსპექციას შეუძლია, უფლებამონაცვლე არის ბა-თუმის ავტოტრანსპორტი და აქამდე არსებული წესითაც როდესაც ხდება სამართალდამრღვევთა ფაქტის დაფი-ქსირება, ხდება მისი შესაბამისი აღრიცხვა პროგრამული უზრუნველყოფით, დასურათება და შემდგომ იწერება საჯარიმო ქვითარი. რაც შეეხება მოქალაქის მიერ დაფი-ქსირებულ სამართალდარღვევას, ცნობის შემდგომ გან-ხორციელდება მისი რეაგირება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ამოღების პროცედურა იყო ბუნდოვანი, რისთვისაც ვერ ხერხდებოდა და გარკვეულწილად თანხები ვერ შემო-დიოდა, თუმცა აინტერესებს, რომ მოქალაქეების ნაწილი არ არის გათვითცნობიერებული სოციალურ ქსელებში და ვერ გაიგებს ინფორმაციას, რის გამოც მოქალაქეს უნდა ეცნობოს საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაწერილია, რომ საჯარო ქვითარი იკვრება საქარე მინაზე, ამ შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებით გაუმჯობესდა მოქალა-ქის ინფორმირების კუთხით ღონისძიებები.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ საქარე მინაზე გამოკრული ქვითარი ეს არ ნიშნავს საბოლოო ვერსიას ანუ შეტყობინებას. ეს არის აღმნიშვნელი ფაქტი. რატომ ხდება ორჯერ შეტყობინება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონში გაწერილია ორჯერ გაგზავნის პროცედურა, რომელიც გადმოტნილი იქნა ამ წესში, საჯარიმო ქვითარი შევსებიდან დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის პირს, ჩაუბარებლობის შემთხვევაში საფოსტო გზავნილზე შესაბამისი წარწერით უბრუნდება მუნიციპალურ ინსპექციას, ხოლო ინსპექცია არა უადრეს 30 და არაუადრეს 60 დღისა განმეორებით ახდენს აღნიშნული საჯარიმო ქვითრის გაგზავნას, ხოლო განმეორებით ხელახლა ჩაუბარებლობის შემთხვევაში პროცედურა იწყება ამ წესის შესაბამისად და ხდება მისი საჯარო ვებ-გვერდზე განთავსება.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ მისი ადვოკატად მუშაობის პერიოდში ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ასეთი ფაქტები: მიდის ადრესატთან ადამიანი, ის საფუძვლიანად არ მოიკითხავს, შემდგომ მისი შედგენილი ოქმის მიხედვით მას ეთვლება ჩაბარებულად. ეს უკვე შედის კანონიერ ძალაში, რომელიც გასაკონტროლებელია.

საკრებულოს წევრმა ბესარიონ გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ მას აინტერესებს ცენტრალურ პარკში არის დაზიანება, ხომ არ იგეგმება ვიდეოკამერების განთავსება, ასევე სხვა სკვერებში, არის ვანდალიზმის ფაქტები, გამომდინარე აქედან ახალ შექმნილ სკვერებში ასევე ცენტრალურ პარკში მოხდეს ვიდეოკამერების განთავსება, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს წარმოადგენს მუნიციპალური სერვისების სააგენტოს კომპეტენციას.

საკრებულოს წევრმა თამაზ დევაძემ დასვა შეკითხვა ტრაილერების მიერ ქუჩის სავალი ნაწილის გადაკეტივის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპატრულო პოლიციასთან ერთად არაერთი ღონისძიება იქნა გატარებული თვითნებურად გაჩერებულ როგორც ტრაილერებზე, ასევე სხვა უნომრო და სატვირთო მანქანებზე, მუნიციპალური ინსპექციის მიერ ხდება დაკავშირება საპატრულოსთან და შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -1 (ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის კრიტერიუმები - დანართი N1. წარმოდგენილი ცვლილების მიზანია კრიტერიუმების დაზუსტება, რომელიც გავრცელდება მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ შემდგომი ეტაპების სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადებზე და მათ საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით „ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიტერიუმები“-ს:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;“.

ბ) მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„გ) ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის (ბინა/სახლი) სტატუსი - ბინა/სახლი საკუთრებაში აქვს, ბინას/სახლს ქირაობს (ქირის ოდენობის მითითებით), ბინას/სახლს გირაობს, ცხოვრობს სხვა პირის (ნათესავის, არანათესავის, სახელმწიფოს) მიერ უსასყიდლოდ დათმობილ ბინაში/სახლში, ცხოვრობს არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართში;“.

გ) მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:
„ე) ოჯახი არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 001-მდე;“.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი